


ავტორი: გიორგი ანთაძე

(სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს მხოლოდ ავტორის პოზიციას)

ჰიბრიდული ომის გააზრებისთვის



შესავალი

დღეს სახელმწიფოები და მათი შეიარაღებული ძალები ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე კომპლექსური გამოწვევების ერაში იმყოფებიან. ეს კომპლექსურობა განპირობებულია გლობალიზაციის პროცესის „წარუმატებელი წარმატებით“, თანამედროვე ტექნოლოგიების გავრცელებითა და ხელმისაწვდომობით, საერთაშორისო

ურთიერთობათა სისტემაში დღეს არსებული გაურკვევლობებით და ტრადიციული პოლიტიკური სისტემების დასუსტებით. თანამედროვე გამოწვევებმა და არსებულმა გარემომ, როგორც ადრე ისტორიაში ხდებოდა, თავისი დალი ომის წარმოების მეთოდებსა და ხერხებსაც დაასვა.

ამ კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა და პოპულარობა შეიძინა ტერმინმა - „**ჰიბრიდული ომი**“, რომელიც დღეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებით საყოველთაოდ ცნობილი და პოპულარული გახდა. ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ თემებზე საუბრისას, ტერმინი სხვადასხვა კონფერენციებსა და შეხვედრებზე პოლიტიკოსებისა, თუ დარგის ექსპერტების ტერმინოლოგიის განუყოფელ ნაწილად იქცა. მიუხედავად ამისა, ცოტა მოიძებნება ადამიანი რომელიც ზუსტად შეძლებს ტერმინის განმარტებას და თავს დააღწევს იმ თეორიულ აზრთა სხვადასხვაობას, რომელიც ამ ტერმინის ირგვლივ დღეს არსებობს. ყოველ შემთხვევაში ტერმინის განმარტების აკადემიური მცდელობები, მასობრივ საინფორმაციო ველში ფართო მასებისთვის დაკარგულია.

დღეს შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს ომის თეორიისთვის რაიმე სახის სრულიად ახალ, აქამდე არნახულ მოვლენასთან, ან ომის წარმოების რაიმე განსაკუთრებულ სიახლესთან გვაქვს საქმე, რომელთანაც გამკლავება ძალიან რთულია. ქვემოთ სწორედ საკითხის ამ კომპლექსურობაში გარკვევას შევეცდებით. ვეცდებით განვმარტოთ ტერმინი, ვიმსჯელოთ მის ბუნებაზე და შევეცადოთ პასუხი გავცეთ კითხვას - რა მოვლენასთან გვაქ საქმე და რამდენად დიდი სიახლის მატარებელია ომის თეორიისთვის „**ჰიბრიდული ომი**“ თავისი არსით. ამ გზაზე შევეცდებით ტერმინი დავყოთ და ორივე სიტყვა „**ჰიბრიდული**“ და „**ომი**“ ცალ-ცალკე განვმარტოთ, რაც ჯამში ვიმედოვნებთ გაცილებით ნათელ სურათს მოგვცემს საკითხის გასაგებად.

საკითხზე მსჯელობისას სინათლის შემოტანა აუცილებელია, ვინაიდან ბუნდოვანება ართულებს ნებისმიერ ქვეყნის არმიისთვის შესაბამისი დასკვნების გამოტანას, რაც მისი თანამედროვე გამოწვევებისათვის მზაობას, ან საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი დოქტრინული ცვლილებების განხორციელებას ჭირდება. „**ჰიბრიდული ომი**“ ბუნებრივია საქართველოს თავდაცვის უნარიანობისთვისაც არ არის ინტერეს მოკლებული საკითხი.

ომის განმარტებისათვის

სანამ ტერმინ ჰიბრიდულს განვმარტავდეთ მანამდე განვიხილოთ ომი. მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ყველა ადამიანის აზროვნებაში ომი მარტივი აღსაქმელია, სინამდვილეში იგი განმარტებისათვის არც თუ ისე ადვილად გადმოსაცემი საკითხია. მითუმეტეს არასპეციალისტისათვის ორმაგად რთულია საუბარი ომის ბუნებაზე. მას შემდეგ რაც კაცობრიობამ ადამიანთა ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენების აღწერა და ჩანიშვნა დაიწყო, ომი ადამიანთა ინტელექტუალური პაექრობის საგნად იქცა. სხვადასხვა დროს, დედამიწის სხვადასხვა ადგილებში არა ერთი ავტორი, მხედარმთავარი ან ისტორიკოსი ცდილობდა ომის შესახებ მწყობრი თეორიული ხედვის ჩამოყალიბებას თუ არა, მისი სხვადასხვა ასპექტის ან პრინციპების მისეულ აღწერას და გარკვეულ სააზროვნო ჩარჩოებში ჩასმას. ასე იყო დაწყებული მაგალითად სუნ ძის, თუკიდიდეს, ქსენოფონტესა თუ მაკიაველის ნაშრომთა შემთხვევებშიც. ისტორიის მანძილზე არა ერთი სხვა ავტორიც ცდილობდა ომის საგანი აეხსნა, ან წარმოეჩინა იგი სხვადასხვა კუთხით. იყვნენ ისეთები ვინც ომის სიღრმისეული ბუნების განსაზღვრას უფრო ეცადა, ვიდრე იმის თეორიულ განსაზღვრას თუ როგორი ხერხებით უნდა იყოს ომი წარმოებული ბრძოლის ველზე.

სწორედ ამდაგვარი ფართო ხედვის უფრო გვიანდელი და ყველაზე ფუნდამენტური და კონცეპტუალური მიდგომის ავტორი, XIX საუკუნეში ნაპოლეონის ომების პერიოდში მოღვაწე ცნობილი პრუსიელი სამხედრო თეორეტიკოსი კარლ ფონ კლაუზევიცია. ის მიზეზები რამაც კლაუზევიცის თეორიული აზროვნების საფუძვლები განაპირობა ცალკე საუბრის თემაა და მისი ბიოგრაფიის და იმდროინდელი გერმანული ფილოსოფიაში გაბატონებულ აზროვნებაზე უფრო ღრმა საუბარს საჭიროებს რაც არ წარმოადგენს ჩვენი ამ სტატიის მიზანს, თუმცა რამდენიმე ასპექტი უცილებლად ხაზგასასმელია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კლაუზევიცის კითხვისას ცდომილებისა და ორაზროვნებების თავიდან ასაცილებლად გარკვეული ინტელექტუალური ბაზაა საჭირო, ამიტომ აუცილებელია კლაუზევიცის სწავლებისას შესაბამისი თეორიული შესავლები, მათ შორის სხვადასხვა რანგის სამხედრო თეორიული სასწავლო პროცესების დროსაც. ზოგადად კი, ამდაგვარ ბაზას ფილოსოფიასთან, კერძოდ, გერმანულ კლასიკურ ფილოსოფიასთან ნაცნობობა ქმნის. ყოველ შემთხვევაში, პრობლემატიკა, რომელიც კლაუზევიცის თვალსაწიერში ხვდება აქედან უფრო კარგად და ადვილად იკითხება, ვინაიდან მისი ამოცანა არა იმდენად ომის ბუნების გარკვევა

იყო, რამდენადაც ომის შესახებ თეორიული ცოდნის აგების შესაძლებლობა. სხვა სიტყვებით, ომის, როგორც მოვლენის, შემეცნების პრინციპულ შესაძლებლობაზეა საუბარი და სწორედ ამის დანახვას სჭირდება გარკვეული ფილოსოფიური გამოცდილება. მისი ახლო ურთიერთობები და მიღებული ლექციები იმ დროინდელი ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებში მოღვაწე ფილოსოფოსებთან და ინტელექტუალებთან კლაუზევიცში სწორედ ამდაგვარი ფილოსოფიური აზროვნების მიდგომების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. სწორედ ეს ხედვა არის ფუნდამენტურად განმასხვავებელი ქვაკუთხედი რაც კლაუზევიცს იმ უამრავ მწერალთაგან თუ თეორეტიკოსებისგან გამოარჩევს, რომლებიც ომის თემაზე წერდნენ და ბევრი მათგანი ომის კლასიკოსადაც (და არც თუ უსაფუძვლოდ) იქნა მიჩნეული. ზოგადად კლაუზევიცამდე ომს ორი ძირითადი განზომილებით უდგებოდნენ: *ომი, როგორც რაღაც პრაქტიკული ხდომილება და ომი, როგორც ადამიანთა ურთიერთობის ასპარეზი*. შესაბამისად, მწერლობაც ორ ნაკადად იყოფოდა: ერთის მიზანი იყო ომის პრაქტიკის აღწერა, მისი ტაქტიკური-თეორიული პრინციპების ჩამოყალიბება და მეორე მიმდინარეობა რომლის მიზანიც - ომის მორალური საყრდენის, იმ ღირებულებების დადგენა იყო, რომელიც ომს ღირსეულ საქმიანობად წარმოაჩენდა. ომის სამართლიანობის საკითხის მნიშვნელობის თვალსაჩინოებისათვის საკმარისია, გავიხსენოთ ჰომეროსი და ილიადა, სადაც მოტაცებული ელენა ტროას წინააღმდეგ წარმოებული კამპანიის მორალური გამართლების საფუძველია.

პირველი ნაკადის მწერლები უმეტესად ომის პრაქტიკოსები, ანდა ომის ისტორიკოსები გახლდნენ, ან ერთდროულად ორივე - მაგალითად ცეზარი და მისი ჩანაწერები გალიაში წარმოებული კამპანიის შესახებ. მათი წყალობით ვიცით ჩვენ არა მარტო ის, თუ რა პოლიტიკური ცხოვრება მიდიოდა არამედ ისიც, თუ როგორ იღებდნენ გამაგრებულ ადგილებს, როგორ არჩევდნენ და ახარისხებდნენ მეომრებს, რა ტაქტიკურ სქემებს მოიხმარდნენ, როგორ მიდიოდა უზრუნველყოფა და რა იყო საჭირო წარმატებული ლაშქრობისათვის ამა თუ იმ გეოგრაფიულ არეალში და რა სააზროვნო მოტივაციები ქონდათ ამა თუ იმ მხედართმთავრებს.

მეორე ნაკადის მწერლები მეტწილად ფილოსოფოსები გახლდნენ. ეს მწერლობაც საკმაოდ ხანდაზმულია და მის სათავეებთან ისეთ სახელებს ვხვდებით, როგორცაა პლატონი და არისტოტელე. გაცილებით გვიან, ევროპულ აზროვნებაში ხდება ომის მორალურ ღირებულებათა მიზმა სამართლის კატეგორიებზე. ყოველ შემთხვევაში, ჰუგო გროციუსთან ომი უკვე არა მარტო მორალურად, არამედ სამართლებრივად გამართლებადი ქმედებაა, რაც ბუნებრივია ევროპაში ისტორიული პროცესების

განვითარების ბუნებრივი შედეგი იყო. დღეს ომის სამართალი საერთაშორისო სამართალზეა მიბმული. შესაბამისად, საერთაშორისო ინსტიტუტების მონიტორინგის ქვეშ ექცევა და ამდენად, ის უკვე პრაქტიკული საქმიანობა უფროა.

ერთი შეხედვით, კლაუზევიცის “ომის შესახებ” ამ ნაკადებშია მოქცეული. მეტიც, ისე ჩანს, რომ თემატიკურად შესაძლებელია ის ორივე ნაკადს მივაკუთვნოთ. თავდაპირველად ის სწორედ ამდაგვარად იქნა აღქმული, და როგორც ასეთს, ერთგვარი ეკლექტიზმის შედეგად, კლაუზევიცის წაკითხვის სხვადასხვა ტრადიციაც ჩნდება. ერთნი მასში მხოლოდ დოქტრინას ხედავენ, ხოლო მორალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე საუბარს ერთგვარ გაუგებრობად მიიჩნევენ. მეორენი, პირიქით, თვლიან რომ სწორედ ეს ნაწილებია მნიშვნელოვანი და საყურადღებო. მესამენი, გრძნობენ, რომ აქ რაღაც სხვა უნდა იყოს, მეტიც, კლაუზევიცის ცნებებში კანტიანური ფილოსოფიის კატეგორიების ანარეკლს ეძებენ. სწორედ ამდაგვარი სააზროვნო ეკლექტიზმის შედეგი იყო, რომ მაგალითად 19-ე საუკუნის მეორე ნახევრიდან, გერმანული სამხედრო თეორია კლაუზევიცის ნაშრომს როგორც მათი სამხედრო კამპანიების სტრატეგიული დაგეგმარების თეორიულ-დოქტრინულ ბაზისად აღიქვამს, რამაც თავისი დიდი დადი დაასვა იმ დროინდელ ევროპულ სამხედრო კამპანიებს ვიდრე მეორე მსოფლიო ომამდე. არსებობს კლაუზევიცის სხვა ინტერპრეტაციებიც. ყოველი წაკითხვისას ყურადღების გამახვილება ერთ რომელიმე დეტალზე, ომის ერთ რომელიმე ნიშანზე ხდება და, ბუნებრივია, ამდაგვარი ვითარება ხელს არ უწყობს იმ ერთიანი სურათის გააზრებას, რომელიც, თავად კლაუზევიცს, როგორც ჩანს, ჩანაფიქრად ჰქონდა.

ჩვენი მსჯელობისთვის ჰიბრიდულ ომზე, კლაუზევიცი საინტერესოა სწორედ იმდენად რამდენადაც, ჩვენის აზრით, მან ყველაზე მთავარი - **ომის ბუნების გააზრების საშუალება მოგვცა, რაც აუცილებელია ომის ნებისმიერი გამოვლინების, მისი ნებისმიერ ფორმისა და თვისობრივად ახალი ომის წარმოების მეთოდების გააზრებისათვის.** ჰიბრიდული ომის გააზრებაც სწორედ იგივეს საჭიროებს.

მაშ ასე, რას გვასწავლის კლაუზევიცი ომის ბუნების შესახებ? რა არის ომი?

როგორც გენერალ-ლეიტენანტი, პროფესორი დავით თევზაძე 2010 წელს სტატიაში: „ევროპული ომის ფილოსოფია: კარლ ფონ კლაუზევიცი“ წერს, კლაუზევიცის მიხედვით- „...ომი კატეგორიაა, რომლის შინაარსი სამ ვითარებას ეყრდნობა. ესენია დაპირისპირება, ძალადობა და მოწინააღმდეგის დამორჩილების ნება. აღქმისთვის ომი

ძალადობა, შემთხვევითობა და გაურკვევლობა, ხოლო ფიზიკურ პლანში, რეალურად, ომი როგორც მოვლენა, რომელიც ჩვენივე აღქმის შედეგად ჩვენი განსჯის საგნადაა ქცეული - შეიარაღებულ ძალთა დაპირისპირებაა, რომელიც მეომარ მხარეთა მიერ პოლიტიკურ მიზანდასახულობათა მისაღწევად გამოიყენება. შესაბამისად, ზოგადად, **ომი გვევლინება როგორც ძალადობა, დაპირისპირება, შემთხვევითობა და გაურკვევლობა.** ეს ასე ვთქვათ, მისი **ობიექტური მხარეა**, ის, რაც ყველა ომისთვის საერთოა, და სხვათა შორის, ის, რაც უცვლელად გადადის ეპოქიდან ეპოქაში და, როგორც ჩანს, რაც მის რეალურ ბუნებას წარმოადგენს. ხოლო ის, რაც ნებისმიერ ომს უნიკალურს ხდის, ასე ვთქვათ, მისი **სუბიექტური პლანი**, ეს - **სამხედრო ძალები, მათი დოქტრინები, შეიარაღება, სპეციფიკური გეოგრაფიული გარემო და ის შეზღუდვები გახლავთ, რომელიც თითოეული სამხედრო დაპირისპირებისთვის განსხვავებულია და დამახასიათებელი.**¹

კლაუზევიცის სწორედ ეს ფუნდამენტური გააზრებაა უმნიშვნელოვანესი - მიუხედავად იმისა, რომ ომი ადაპტირებს გარემოებებთან მისი **ობიექტური მხარე ყოველთვის უცვლელია.** თუმცა ორივე მხარე- სუბიექტურიც და ობიექტურიც ძალიან მჭიდროდაა გადაჯაჭვული.

ამავე დროს, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ისიც, რომ ამ ორი ფაქტორის ერთიანობას სჭირდება ერთგვარი მამოძრავებელი, რაც ყველაფერს, რასაც ჩვენ ომს ვუწოდებთ მოძრაობაში მოიყვანს, და პროცესის სახეს მიცემს. ასეთი მამოძრავებელიც სამია კლაუზევიცისთვის- ე.წ. **„კლაუზევიცის ან, ომის სამება“.** სამივე, სხვათა შორის, თანაბარმნიშვნელოვანი, რასაც ის საკვირველ (ანდა განსაცვიფრებელ) სამებას უწოდებს: პოლიტიკის გავლენა, ალბათობა და ძირეული (ალბათ, უფრო, სიღრმისეული) მტრობის განცდა, რომელიც დაპირისპირებულ მხარეებს ომისკენ უბიძგებს. ობიექტურ სიბრტყეში, აღნიშნული სამება წარმოადგენს სამ დინამიურ ძალას, რომელიც ომის მსვლელობას განსაზღვრავს:

- მიმართულების განმსაზღვრელი ზეგავლენა,
- ალბათობის თამაში (შემთხვევითობა)
- სიღრმისეული შუღლი (მაგ. მეზობელ ეთნოსებს შორის).

სუბიექტურ სიბრტყეში კი, სამება არის

- ხელისუფლება — მიმართულების მიმცემი ზეგავლენა

- სამხედრო ძალა — შემთხვევითობის შემომქმედი
- ხალხი (გემანულად Folk) – ომის წარმოების სერიოზული ემოციური რეზერვი.

ამგვარად, კლაუზევიცის მიხედვით, ომს სამი აქტიორი ჰყავს, სამივე თანაბარ-მნიშვნელოვანი და ომზე მსჯელობისას რომელიმე მათგანის უგულველყოფას ნებისმიერი თეორია ჩიხში შეჰყავს. ამგვარად, ტრიადა **მთავრობა-არმია-ხალხი** წარმოადგენს იმ ღერძს, რაზედაც ომის თეორია უნდა დაფუძნდეს. ამათგან, **მთავრობა პოლიტიკურად მართავს ომს, ხალხი წარმოადგენს შინაგანი სიძულვილის მატარებელ სუბსტრატს, ხოლო არმია, ამ ხალხის სახელით, პოლიტიკური მიზნების რეალიზაციისათვის იბრძვის.** ომის ამდაგვარი გააზრება ბუნებრივად იკვეთება სახელმწიფოს იმ მოდელიდან, რომელიც ვესტფალის ზავის შემდეგ გაბატონებულ მოდელად იქცა ევროპაში. თუმცა, როგორც კი სახელმწიფოები ომის ერთად-ერთ მწარმოებელ სუბიექტებად გარდაიქმნენ, მთავრობას, არმიას და ხალხს შორის ჩნდება ნაპრალი, რომელიც იმდენად ღრმავდება, რომ უკვე **XVII** საუკუნისათვის ხალხი საერთოდ ჩამოცილებულ იქნა ომიდან და ამის ინსტიტუციონალიზაცია საერთაშორისო სამართლის ძალითაც იქნა გამყარებული: პირებს, რომლებიც სამხედრო მოსამსახურეებს არ წარმოადგენენ, მოტივაციის მიუხედავად, ეკრძალებათ ომი. დღესაც, ე.წ. “ინსურგენტები” არ ითვლებიან პირებად, რომელთაც ომის კანონი იცავს. სხვა სიტყვებით, პარტიზანები, სხვადასხვა ფორმით თავისუფლებისათვის მებრძოლები, კომბატანტები და ა.შ. კანონგარეშე დგებიან. *ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია ჰიბრიდული ომის გააზრებისთვის, მათი წარმმართველი ხელი, ის ვინც ამ „პროქსი-გამტარ“ ძალებს იყენებს ამდაგვარად ომის წარმოების საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და ვალდებულებებსაც არიდებს თავს.*

ის გარემოება, რომ განსჯისთვის ომი **ძალადობრივ დაპირისპირებაზე აგებული საკუთარი ნების რეალიზაციის პროცესია**, ლოგიკურად გვეკარნახობს მისი ეფექტურად წარმართვის ალგორითმს: ეს რომ შესაძლებელი გახდეს, **მოწინააღმდეგე იმდენად მძიმე ვითარებაში უნდა ჩავაყენოთ, რომ ჩვენ მიერ მისგან თავდაპირველად მოთხოვილი დათმობანი უფრო მსუბუქი აღმოჩნდეს.** მას ეს ძლიერ მოტივაციას უჩენს დანებებისათვის და ჩვენი პოლიტიკური ნების რეალიზაციის ალბათობას აძლიერებს. ამგვარად, იკვეთება, რომ ჩვენი ნების განხორციელების პირობა გახლავთ **თუ როგორ მოვახერხებთ რომ მოწინააღმდეგეს წინააღმდეგობის სურვილი და უნარი წავართვათ.** სხვა სიტყვებით, ომის მიზანი საბოლოო ნიშნით - **მოწინააღმდეგის წინააღმდეგობის ნების გატეხვა არის.** ამ გზაზე კი მორალური შემადგენლის უგულველყოფის შემთხვევაში, ნებისმიერი ხერხი დასაშვები და მისაღები ხდება. ჰიბრიდული ომის გააზრებისთვის, სწორედ ეს დასკვნა არის უმთავრესი და სწორედ

ზემოთ მოყვანილი დასკვნებია კლაუზევიცის უდიდესი კონტრიბუცია სამხედრო-სტრატეგიულ თეორიაში და ომის საკითხის გაგებაში. მან ამით მოგვცა ის ქვაკუთხედები რაც უცვლელად გვხდება ნებისმიერი ეპოქის ომებში - საზოგადოებები ვითარდებიან, გარემოებები იცვლება, იცვლება ომის წარმოების საშუალებები, მაგრამ ომის არსობრივი მხარე არ იცვლება, ის კვლავაც **ძალადობის, დაპირისპირების, შემთხვევითობისა და გაურკვევლობის ასპარეზია.**

ომის წარმოების ხერხებში ცვლილებები პირდაპირ უკავშირდებოდა **ომის სუბიექტური მხარის** - არმიათა დოქტრინების, შეიარაღების სახეობების, ტექნოლოგიებისა თუ ზოგადად, კაცობრიობის ცივილიზაციური განვითარების სხვა შედეგებს. სწორედ ეს ცვლილებები იწვევს ძირითად სიახლეებს და პერიოდულად ახალი განზომილებებიც შემოაქვს ომის სიბრტყეში. ასე გაჩნდა თავის დროზე საჰაერო დომენი, კიბერ სივრცე, კოსმოსი და ა.შ. ბუნებრივია ცვლილებები გლობალურ გეოპოლიტიკურ გარემოში, საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში თავის დაღს ასვამდა ომის წარმოების ხერხებს, მის შემზღვევად ფაქტორებსა თუ მეთოდებს.

აღსანიშნავია, რომ **ომის ამ სუბიექტური მხარეში ცვლილებები არ დარჩენილა მკვლევარების შესაბამისი ყურადღების მიღმა.**

მაგალითისთვის, თანამედროვე სამხედრო თეორიაში ომებს ზოგადად ყოფენ ოთხ თაობად. 1989 წლის ოქტომბერში ამერიკულ სამხედრო გამოცემაში „*Marine Corps Gazette*“ ავტორთა ჯგუფის მიერ უილიამ ლინდის ხელმძღვანელობით, გამოქვეყნდა სტატია: [„ომის ცვალებადი სახე: მეოთხე თაობის ომი“](#).² ავტორებმა მასში მოახდინეს იმ ომების კლასიფიცირება და დაჯგუფება რომლებიც ვესტფალიის ზავის (1648 წ) შემდგომი პერიოდიდან მოხდა, მას შემდეგ რაც საერთაშორისო არენაზე გამოსვლას იწყებენ ე.წ. ნაცია სახელმწიფოები. 1648 წელს, ვესტფალიის ზავით დასრულდა ოცდაათწლიანი ომი და იგი ცნობილია როგორც თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის ფუძემდებელი აქტი.

აქედან მოყოლებულ ომებს, ზემოთ ნახსენები ავტორები სწორედ ომის სუბიექტური მახასიათებლებისა და ნიშნების ევოლუციის მიხედვით ყოფენ.

პირველი თაობა დაახლოებით მოიცავს **1648-1860 წწ;**

- ხაზისა და კოლონის ტაქტიკა სადაც ბრძოლის ველი უკვე დისციპლინირებული და ორგანიზებულია;
- ორგანიზებულმა ბრძოლის ველმა შექმნა სამხედრო დისციპლინის კულტურა;
- უმრავლესობა ნიშნებისა რაც განასხვავებს სამხედროებს სამოქალაქოებისგან სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა: უნიფორმები, მისალმებები, წოდებათა დიფერენცია.

მეორე თაობის ომები - ინდუსტრიული პერიოდის ომები, ა.შ.შ.-ის სამოქალაქო ომიდან მოყოლებული, პირველი მსოფლიო ომის ჩათვლით;

- განვითარებულია საფრანგეთის არმიის მიერ პირველ მსოფლიო ომის პერიოდში და საცეცხლე ძალის მასობრივ გამოყენებას ეყრდნობოდა. ძირითადად არაპირდაპირი საარტილერიო ცეცხლის გზით;
- მიზანი იყო ე.წ. “ხახუნი” (трение, attrition); დოქტრინა ფრანგების მიერ აღიწერებოდა როგორც “არტილერია იპყრობს, ქვეითები იკავებენ”;
- ცენტრალიზებულად კონტროლირებადი საცეცხლე ძალა იყო ზედმიწევნით სინქრონიზირებული. ყველა სახეობის ჯარებისთვის გამოიყენებოდა დეტალური გეგმები და ბრძანებები. მეთაურები შეზღუდულები იყვნენ მოქმედებებში და მეტწილად დამოკიდებულები იყვნენ მათ ზემდგომებზე.

მესამე თაობის ომი - დამყარებული იყო არა საცეცხლე ძალაზე და ე.წ. “ხახუნზე”, არამედ მისთვის დამახასიათებელია: სიჩქარე, სიურპრიზი, ე.წ. „ბლიცკრიგი“ და გადაწყვეტილებათა სწრაფი ციკლები;

- ტაქტიკურ დონეზე მოწოდებულია მოწინააღმდეგის ზურგში გასვლაზე და მისი ზურგიდან კოლაფსზე. პირდაპირი შეტაკების ნაცვლად გამოიყენება “შემოვლისა და განადგურების ტაქტიკა”;

მესამე თაობის ომი არის მანევრირებადი და არა ხაზობრივი; მისი ბოლო კლასიკურ მაგალითად ითვლება ერაყის პირველი კამპანია.

მეოთხე თაობის ომი

- მასში სახელმწიფო კარგავს მონოპოლიას ომზე. არენაზე გამოდიან პრემოდერნისტული პერიოდის არა კონტროლირებადი კომბატანტები;
- მთელი მსოფლიოს მასშტაბით, სახელმწიფოები ებრძვიან არასახელმწიფოებრივ აქტანტებს, როგორცაა დღეს: ალ-ქაედა, ჰამასი,

ჰესბოლა, თალიბანი, ბოკო-ჰარამი, დაეში და ა.შ. თითქმის ყველგან სახელმწიფო აგებს ომს;

- მეოთხე თაობის ომისათვის დამახასიათებელია კონფლიქტთა კულტურული ასპექტების მაღალი მნიშვნელობა;
- ბევრგან აღიწერება როგორც ნებისმიერი ომის სადაც ერთ მხარეს წარმოადგენს არა სახელმწიფო არამედ რომელიმე ძალადობრივი იდეოლოგიური ქსელი;
- წაშლილია, ან თითქმის შეუმჩნეველია ზღვარი ომსა და პოლიტიკას, ჯარისკაცსა და სამოქალაქოს, მშვიდობასა და კონფლიქტს, ბრძოლის ველსა და უსაფრთხოებას შორის.
- მიზანი: ტექნოლოგიურად აღმატებული მოწინააღმდეგის გამარჯვების ნების გატეხვა;

ასევე მეოთხე თაობის ომის მახასიათებლებია:

- არასახელმწიფოებრივი კომბატანტები;
- მაღალი ტექნოლოგიები;
- ტერორიზმი;
- არასახელმწიფოებრივი და ტრანსნაციონალური ბაზისი/არეალი;
- პირდაპირი დარტყმები მოწინააღმდეგის კულტურაზე;
- ჩახლართული, რთული ფსიქოლოგიური ოპერაციები და ომი, განსაკუთრებით მედიის მანიპულაციის გზით;
- ფრონტის ხაზის ფაქტობრივი არ არსებობა;

თუ დავაკვირდებით ჩამონათვალს თვალში საცემია, ის მახასიათებლები რომლებიც დღეს ე.წ. 'ჰიბრიდული ომებში' გვხვდება, რაც მიაწინებს სწორედ იმას, რომ შესაძლოა არ გვაქ საქმე განსაკუთრებულ სიახლესთან.

ყოველივე ზემოთ აღწერილის შემდეგ ჩვენ მსჯელობაში უკვე გააზრებული გვაქ ომი როგორც ფენომენი, მისი არსი და ის გარემოებები რის მიხედვითაც ხდებოდა ომების კლასიფიცირება. სწორედ ომის ერთ-ერთი ამდაგვარი კლასიფიცირება, ომის სუბიექტური მხარის ევოლუციის კიდევ ერთი გააზრება და აღწერის მცდელობა არის, ამჯერად სიტყვა - „ჰიბრიდულით“ მისი დახასიათება, უფრო სწორედ კი იმ ტენდენციების რაც უკვე თანამედროვე ომებს ახასიათებს.

მაშ ასე, რას გვეუბნება ტერმინი ჰიბრიდული და სიტყვათა თანწყობა- „ჰიბრიდული ომი“?

ჰიბრიდული ომი

სანამ უშუალოდ ტერმინის შესახებ ვისაუბრებდეთ და იმ ავტორებს გავეცნობოდეთ ვისაც ეკუთვნის ჰიბრიდული ომის შესახებ ძირითადი თეორიული ნაშრომები, ყურადღება მივაქციოთ თვითონ სიტყვა -ჰიბრიდის ეტიმოლოგიას, რაც თავისთავად უკვე მიგვანიშნებს გარკვეულ შინაარსზე.

ქართული უცხო სიტყვათა ლექსიკონის მიხედვით სიტყვა - ჰიბრიდ—ი [ლათ. hybrida ნაჯვარი] – ნიშნავს მცენარეების ან ცხოველების ჰიბრიდიზაციის შედეგად წარმოქმნილი ორგანიზმს.

ოქსფორდის ლექსიკონის მიხედვით ჰიბრიდი - ორი ელემენტის გაერთიანების მიერ მიღებული შედეგი ან საგანია.

ზოგადად, როგორც ვხედავთ საუბარია ორი ან რამდენიმე ელემენტის გაერთიანების მიერ მიღებულ შედეგზე.

ჩვენს მსჯელობაში თუ მას გამოვიყენებთ სიტყვა „ომთან“ მიმართებაში, მივიღებთ შემდეგ სურათს.

ვინაიდან ომის ბუნებაზე საუბრისას ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ომის **ობიექტური მხარე უცვლელია**, ცვლილებები ეხება ომის იმ **სუბიექტურ მხარეს** რომელზედაც ასევე ზემოთ ვისაუბრეთ და რომლებიც **დრო და დრო სახეს იცვლის** და ძალიან **ბევრ რამეს შეიძლება მოიცავდეს ერთდროულად**. შესაბამისად „ჰიბრიდული ომი“ ამ მსჯელობაში უკვე უნდა ნიშნავდეს: **ომის სუბიექტური მახასიათებლების გაერთიანებას, ერთმანეთთან შერევას, ერთდროულად გამოყენებას - ომის ობიექტურ, ძირეულ უცვლელ შინაარსთან.**

მაგალითად, ვინაიდან ომის **ობიექტური მხარე უცვლელია**, ეს შეიძლება იყოს **ომის სუბიექტური მახასიათებლების**: შეიარაღების, დოქტრინების, ტაქტიკების - პარტიზანული, დივერსიული, ტერორისტული და ა.შ. ან და სამოქმედო არეალების მიწა, ზღვა, ჰაერი, კიბერი, ან სხვადასხვა ტიპის საშუალებების - საინფორმაციო,

ელექტრონული, კოსმოსური და ასევე ომის სხვა ინსტრუმენტების ჰიბრიდული, ერთდროული და კომბინირებული გამოყენება მოწინააღმდეგის ნების გასატეხად. მსჯელობა ორი ტერმინის: ომისა და ჰიბრიდის გაერთიანების შედეგად ლოგიკურად სწორედ ამას გვკარნახობს.

ახლა ვნახოთ თუ რას გვეუბნებიან არსებული თეორიები და მათი ავტორები.

ზოგადად ჰიბრიდული ომის ირგვლივ ორი ძირითადი სააზროვნო მიდგომაა. არიან მკვლევარები რომლებიც ფიქრობენ, რომ „ჰიბრიდული ომი“ არის რეალობა რომელიც ცალკე თავისთავად გააზრებას საჭიროებს. მათი აზრით, იგი ცალკეა ომის წარმოების ტრადიციული და არა ტრადიციული ხერხებისგან, თუმცა შეიცავს თავის თავში ორივეს. მკვლევართა მეორე ნაწილის აზრით, კი „ჰიბრიდული ომი“ თავისი შინაარსით შედგება იმისგან, რაც ომის წარმოების ისტორიისთვის არ არის ახალი, არ ჭირდება ცალკე გამოყოფა და ადვილად აიხსნება ისტორიულ პერსპექტივაში გააზრებით.

ზოგადად შეიძლება თქვას, რომ მკვლევართა აბსოლუტური უმრავლესობა თანხმდება, რომ თანამედროვე ომის წარმოების ფორმაში არის სიახლეები რომელიც ყურადღებას საჭიროებს. ძირითადი კითხვა დაისმის, თუ რამდენად ახალია ეს ფენომენი ისტორიული პერსპექტივის ჭრილში.

რომელი პოზიციაც არ უნდა იყოს მართალი, საინტერესოა ახლოს გავიცნოთ ის ავტორები, ვინაც თავიანთ შრომებში განსაკუთრებული მნიშვნელობა დაუთმეს „ჰიბრიდული ომის“ საკითხს და ამით წვლილი შეიტანეს ომის თეორიაში ამ ტერმინის როგორც დამკვიდრებაში, ასევე გააზრებაში.

ბევრი ავტორი მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ „ჰიბრიდული ომი“ ახალი ფენომენია. ამ იდეის ერთ-ერთი მთავარი კონტრიბუტორი **ფრენკ ჰოფმანია**, ამერიკელი ვიცე პოლკოვნიკი, რომელიც აშშ-ს ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტში მოღვაწეობს. ჰოფმანმა მისი ხედვები პირველად 2007 წელს წარმოადგინა სტატიაში „კონფლიქტი 21-ე საუკუნეში: ჰიბრიდული ომის აღმასვლა“. მასში ჰოფმანი საუბრობს, რომ მომავალში აშშ-ს ბრძოლა მოუწევს ოპონენტებთან რომლებიც არა მხოლოდ არატრადიციული ან ტრადიციული ფორმით იომებენ, ან ტერორისტები არიან, არამედ მომავალში ოპონენტები შეძლებენ ერთდროულად ყელა ამ მეთოდისა და საშუალების გამოყენებას. ჰოფმანი აღნიშნავს, რომ ისტორიაში არის მაგალითები,

როდესაც არატრადიციული და ტრადიციული ტაქტიკები ერთდროულად გამოიყენებოდა ერთმანეთში კომბინირებულად, მაგრამ თანამედროვე ტექნოლოგიურმა განვითარებამ ომის წარმოება იმდაგვარად შეცვალა, რომ იგი წარმოგვიდგება როგორც ჰიბრიდული საფრთხე. ჰოფმანი აქ არ იძლევა ჰიბრიდული ომის დეფინიციას და მხოლოდ აღწერს მის შინაარსს.

2009 წლის სტატიაში „ჰიბრიდული ომი და გამოწვევები“ რომელიც გაერთიანებული ძალების კვარტალურ გამოცემაში გამოქვეყნდა, იგი საუბრობს რომ ჰიბრიდული ომი ახალ ოპერატიულ გარემოს ქმნის სადაც აშშ-ს ძალებს მოუწევთ ოპერირება. ომის წარმოება ავტორის აზრით, გარდაიქმნება ჰიბრიდულ ფორმაში, სადაც მოწინააღმდეგეები გამოიყენებენ მათ ხელში არსებულ ყველა საშუალებას. იგი წერს, რომ „ჰიბრიდული ომი წარმოადგენს სახელმწიფო კონფლიქტების ლეტალურობისა და ფანატიკური, გაწელილი არატრადიციული ომის წარმოების ნაზავს“.³

ჰოფმანის აზრით, ჰიბრიდული ომის წარმოება როგორც სახელმწიფო, ასევე არა სახელმწიფო აქტანტებს შეუძლიათ. იგი ხაზს უსვამს, რომ არა სახელმწიფოებრივი აქტანტები წარსულშიც აწარმოებდნენ ომებს, მაგრამ არა ასეთი მომაკვდინებელი ძალის მქონე ეფექტით. ასეთი ლეტალურობა მიღწევადი გახდა თანამედროვე შეიარაღებაზე არასახელმწიფო აქტანტების ხელმისაწვდომობის გამო, რაც კომბინირებულია თანამედროვე კომუნიკაციური და ქსელური საშუალებების სხვადასხვა ფორმებთან.

რომ შევაჯამოთ ჰოფმანის ხედვები, იგი ჰიბრიდულ ომს ახასიათებს, როგორც „ნებისმიერი მოწინააღმდეგე, რომელიც ერთდროულად და ადაპტირებულად ომის ველზე იყენებს კონვენციური იარაღის, არარეგულარული ტაქტიკის, ტერორიზმის და კრიმინალური მოქმედებების ნაზავს თავისი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.“⁴ იგი მომავლის ომებს არ ხედავს როგორც მხოლოდ ანტიპარტიზანული ოპერაციების დაპირისპირებას ტრადიციულ ომებთან.

ჰოფმანის კრიტიკისთვის სამართლიანია ითქვას, რომ ჰიბრიდული ომის ბოლომდე გასაგებად, არ არის საკმარისი მისი მხოლოდ ომის წარმოების ტაქტიკური დონის ჭრილში დანახვა. უმნიშვნელოვანესია დავინახოთ რა ეფექტი აქვს „ჰიბრიდულ ომს“ და მის კომპონენტებს ოპერაციულ და სტრატეგიულ დონეებზეც. ამის კარგი მაგალითია იგივე უკრაინა და იქ მიმდინარე მოვლენები ზოგადად.

2009 წელს ავსტრალიელმა დევიდ კილკულენმა გენერალ პეტრეუსის ყოფილმა მრჩეველმა ანტიპარტიზანულ საკითხებში, გამოაქვეყნა წიგნი „შემთხვევითი პარტიზანი“ რომელიც კრიტიკოსების მიერ ფართოდ იქნა განხილული. წიგნის მცირე ნაწილი „ჰიბრიდულ ომსაც“ ეხება, სადაც ჰიბრიდული ომის გასაგებად ავტორი წარმოგვიდგენს მოდელს ერაყის ომის მაგალითზე. კილკულენის აზრით, ჰიბრიდული ომი ერაყში ოთხი სტრატეგიული პრობლემისგან შედგებოდა. ესენია: შესაძლებლობების, უნარების შექმნის (capacity-building) პრობლემა ტერორიზმთან შეწყვილებული, პარტიზანობა და მართვის პრობლემა რომელიც ამ ყოველივეს ფარავს. შესაძლებლობების-უნარების შექმნა გულისხმობს, კოალიციური ძალების უნარს აუცილებელი რესურსებით შეძლონ ადგილობრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ეს გულისხმობს არა მარტო სხვადასხვა ტექნიკისა და შეიარაღების მიწოდებას, არამედ გადამზადების შესაძლებლობებსა და ამ დახმარების ლოგისტიკური და უსაფრთხოების კონდიციების უზრუნველყოფას.

ადგილობრივ რელიგიური და ეთიკურ მღელვარებებთან ერთად, ყოველივე, ქმნის სიტუაციას სადაც თითქმის შეუძლებელია ძირეული პრობლემების გადაჭრა. კილკულენი ასკვნის, რომ ჰიბრიდული ომი მოიცავს არატრადიციული ომის წარმოების, სამოქალაქო ომის, პარტიზანობის და ტერორიზმის ნაზავს ადგილობრივ პრობლემატიკასთან, რომელიც ჯამში ჰიბრიდულ საფრთხეში გარდაიქმნება.

ამერიკული საზღვაო ძალების ვიცე პოლკოვნიკის, ბილ ნემეტის 2002 წლის სამაგისტრო ნაშრომი ასევე გვებმარება ჰიბრიდული ომის განსაზღვრებაში. ნემეტი ჩეჩნეთის ომის მაგალითზე ჰიბრიდულ ომს განსაზღვრავს, როგორც „პარტიზანული ომის თანამედროვე ფორმას“. იგი ამბობს, რომ ჰიბრიდული ომი წარმოადგენს არა-სახელმწიფო ომის ფორმას, რომელიც უფრო ეფექტური გახდა მობილიზაციის თანამედროვე ფორმებისა და ტექნოლოგიების გამოყენების გამო. მისი აზრით, ჩეჩნების უნარი ადვილად ტრანსფორმირდეს კონვენციური ტაქტიკიდან პარტიზანულში, მჭიდროდ არის დაკავშირებულ მათი საზოგადოების კულტურულ-ეთნიკურ თავისებურებებთან. ნემეტის აზრით ჩეჩნების ტაქტიკა ხშირად გადიოდა ტერორიზმისა და პარტიზანობის ზღვარზე.

ნემეტის ნაშრომი ყურადსაღებია, ვინაიდან ხაზს უსვამს კომბატანტის სოციალურ-ეთნიკური მახასიათებლების მნიშვნელობას ჰიბრიდული ომისათვის, რაც მნიშვნელოვანი ასპექტია ჩვენი აზრით.

2008 წლის აპრილში ამერიკულ „სამხედრო მიმოხილვაში“ თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკმა **ჯონ მაქქუინმა** გამოაქვეყნა სტატია „ჰიბრიდული ომები“. მასში მაქქუინი საუბრობს, რომ აუცილებელია მომავალში აშშ-ს არმია - „მომზადოს ჰიბრიდულ მოწინააღმდეგეებთან საბრძოლველად. ჰიბრიდული ომები ნიშნავს კონფლიქტის ზონებს რომლებიც არა მხოლოდ უშუალოდ ბრძოლის ველზე არსებობს, არამედ მათ მიღმაც.“⁵ რა თქმა უნდა ბრძოლის ველი კვლავაც იარსებებს მაქუინის აზრით, მაგრამ მათში გამარჯვება ან წაგება კონფლიქტში მონაწილე ხალხებს შორის გადაწყდება. უფრო მნიშვნელოვანი იქნება სახლში, შინ და საერთაშორისო არენის ფრონტებზე გამარჯვება. ვინაიდან ჰიბრიდული ომები დროში გაწეილი იქნება, საზოგადოებისა და პოლიტიკოსების მხარდაჭერა იქნება გადამწყვეტი. მაქქუინის აზრით, ეს ფაქტორები ნიშნავს, რომ არა მარტო ის თუ როგორ იწარმოება ომი განსაზღვრავს მის ჰიბრიდულობას, არამედ ისიც თუ სად მიმდინარეობს იგი.

ასევე საინტერესოა, ამერიკის თავდაცვის დეპარტამენტში მოღვაწეობის პერიოდში, ვიცე-პოლკოვნიკ **ნათან ფრაიერი** მოსაზრებები, რომელიც აშშ-ს ეროვნული თავდაცვის სტრატეგიაზე მუშაობისას მონაწილეობას დებულობდა 2006 წლის Quadrennial Defense Review Report-ის მომზადებაში, სადაც მისი თაოსნობით მოცემული იქნა საფრთხეების ჩარტი. მასში მოცემულია ის საფრთხეები რომელიც აშშ-უახლოეს მომავალში დაემუქრებოდა. ჩარტი შედგება ტრადიციული, არატრადიციული, კატასტროფული ტერორიზმის და სხვა დესტრუქციული საფრთხეებისგან, რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით აშშ-ს სამხედრო უპირატესობის ნიველირებას ეცდება.

2007 წელს სტრატეგიულ სწავლებათა ინსტიტუტთან მუშაობის პერიოდში, ფრაიერმა, ჩარტის გარკვეული ასპექტების გადააზრება მოახდინა. მისი აზრით, ზემოთ ნახსენები საფრთხეების ტიპები არიან არქიტეპები, რომელებიც მომავალში ცალკე თავიანთ აბსოლუტურ ფორმაში აღარ შეგხვდებიან. მათ მაგივრად მომავალში შერეული საფრთხეების შედეგად საქმე გვექნება ე.წ. ჰიბრიდულ საფრთხეებთან. იგი ტრადიციული, არატრადიციული, კატასტროფული და ჰიბრიდული საფრთხეების ერთგვარი სინთეზი იქნება. ფრაიერი, ამ საფრთხეებში ასევე გულისხმობს არა ძალადობრივ საფრთხეებსაც, როგორცაა პოლიტიკური და ეკონომიკური.

ისტორიული პერსპექტივის კუთხით, ავტორები ჰიბრიდულ ომს ძირითადად განიხილავენ უბრალოდ როგორც ტრადიციული და არატრადიციული ომის ფორმების ნაზავს. სამხედრო ისტორიკოსი **პიტერ მანსური** ჰიბრიდული ომის განსაზღვრებას გვთავაზობს სადაც მას წარმოგვიდგენს როგორც- „კონფლიქტს,

რომელიც მოიცავს კონვენციური სამხედრო ძალების და არარეგულარული (პარტიზანები, მემბოხეები, ტერორისტები) აქტანტების ნაზავს, რომელიც შეიძლება მოიცავდეს როგორც სხელმწიფო, ასევე არა სხელმწიფო აქტანტებს, რომელთა მიზანი საერთო პოლიტიკური მიზნების მიღწევა შეიძლება იყოს“.⁶ ამ პერსპექტივიდან დანახული ჰიბრიდული ომი, რა თქმა უნდა არაა სიახლე ისტორიისთვის. დაწყებული პელეპონესის ომის თუ სუნ ძის ნაშრომის პერიოდიდან მოყოლებული უამრავი მაგალითია ძალთა და ხერხების კომბინირებული გამოყენებისა. თუმცა, ადრე ერთი აქტანტის მიერ კონვენციური და არატრადიციული ომის ფორმები უფრო ერთმანეთის დამოუკიდებლად გამოიყენებოდა, ვიდრე ერთდროულად და ინტეგრირებულად. როგორც წესი, პარტიზანული ოპერაციები ძირითადი ტრადიციული კამპანიების დამხმარე ოპერაციები იყო. 2006 წლის ისრაელ-ჰესბოლას შორის დაპირისპირება ითვლება იმ მომენტად, სადაც პირველად მოხდა ერთი აქტანტის მიერ ყველა ზემოთხსენებული ასპექტების კომბინირება ერთდროულად, ერთი კამპანიის ფარგლებში დღეს არსებული თანამედროვე ტექნოლოგიების მასიური გამოყენებით.

როგორც აღვნიშნეთ, ჰიბრიდული ომები არ არის სიახლე ბევრი ისტორიკოსის აზრით, რომლებიც მას როგორც ტრადიციული და არატრადიციული ომის ხერხებისა და ტაქტიკის ნაზავს განიხილავენ. ისტორიკოსი **თომას ჰაბერი** თავის წიგნში „გაერთიანებული ომის წარმოება: ფატალური კვანძი“ ასევე წერს, რომ ომის წარმოების „გაერთიანებული ხერხები (Compound warfare) წარმოიშვება ტრადიციული, არატრადიციული, პარტიზანული და სხვა ასიმეტრიული ძალების გაერთიანების შედეგად და მათი ერთდროული გამოყენებით.“⁷ ავტორის მიერ წიგნში მოყვანილი ამერიკის რევოლუცია, ნაპოლეონის ომები ესპანეთში, მათ მედუნის პარტიზანული მოქმედებები ჩინეთში განხილულია როგორც ე.წ. „გაერთიანებული ომის წარმოება“. მასში ძლიერი მოწინააღმდეგის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე სუსტი ძალა იყენებს ომის წარმოების ყველა მეთოდსა და საშუალებას ერთდროულად. ავტორის აზრით, ასეთ დროს არმიებს უხდებათ ძალების გაფანტვა როგორც მოწინააღმდეგის ტრადიციული, ასევე არატრადიციული ძალების წინააღმდეგ, რაც ართულებს არმიათა ლოგისტიკურ და საკომუნიკაციო მდგომარეობას. ჰაბერი ასევე აღნიშნავს, რომ ამდგვარ ომებში ორივე ხერხის კომბინირებული გამოყენება შეიძლება ერთი აქტანტის მიერ იყოს კოორდინირებული ერთდროულად, კოორდინაციის სხვადასხვა ხარისხით.

ჰიბრიდული ომების ისტორიულ ჭრილში გააზრების კონტექსტში, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ, კიდევ ერთი ცნობილი სამხედრო პრაქტიკოსი და თეორეტიკოსი **ევგენი მესნერი (1891-1974)** და მისი „ამბოხი ომის“ თეორია.

პირველი მსოფლიო ომის მონაწილე პოლკოვნიკი სხვადასხვა პერიოდში, განსაკუთრებით კი მე-20 საუკუნეში მომხდარ მრავალ ლოკალურ ომსა და კონფლიქტებში, ტერორიზმსა და პოლიტიკურ ექსტრემიზმში ხედავდა მომავლის შეიარაღებული დაპირისპირებების ძირითად ფორმას.

მისი აზრით, ბოლო ასწლეულში მომხდარ მრავალ ომებსა და კონფლიქტებში, ომები თავიანთი ხასიათით გადაიზარდნენ ამბოხებებსა და აჯანყებებში. ამ ომებთან ერთად წარმოიშვა შეიარაღებული კონფლიქტების ახალი ტიპი, სადაც მებრძოლ მხარეებს წარმოადგენს არა მარტო არმიები და სახელმწიფო შეიარაღებული ძალები, არამედ სახალხო მოძრაობები და დაჯგუფებები. სწორედ ასეთი ახალი ტიპის კონფლიქტებს უწოდა მესნერმა „ამბოხი-ომი“.

ავტორის აზრით ყველაზე მნიშვნელოვანია გაირკვეს თუ რა როლს თამაშობს აქტანტების ფსიქოლოგია „ამბოხი-ომის“ ცნებაში. თუ კი კლასიკურ ომებში მუდმივი არმიების ფსიქოლოგიას დიდი მნიშვნელობა ქონდა, ახალი ტიპის ომში ამბოხებული მასების ფსიქოლოგია უკანა პლანზე წევს ჯარის ფსიქოლოგიას და გადამწყვეტი ფაქტორი ხდება გამარჯვებისთვის. ტაქტიკურ და სტრატეგიულ დონეზე ფსიქოლოგიური ეფექტი მიიღწევა არა მარტო იდეურ და ფიზიკურ ქმედებათა მოულოდნელობით არმიების წინააღმდეგ, არამედ სხვა დამხმარე საშუალებებითაც, რომლებიც პირველ რიგში ხალხის წინააღმდეგაა მიმართული. ავტორის აზრით, ამდაგვარ მოქმედებებში ეს დამხმარე საშუალებები, წინა პლანზე გადმოდიან და დომინირებულ პოზიციას ღებულობენ.

„ამბოხი-ომში“ იბრძვიან პარტიზანული ომის, დივერსიის, საბოტაჟის და პროპაგანდის მეშვეობით. ასეთ სიტუაციაში კი, მესნერი ამბობს რომ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ე.წ. მე-5 კოლონების არსებობას მოწინააღმდეგისა და თვით ნეიტრალურ ტერიტორიებზე.

როგორც ვხედავთ გასული საუკუნის პირველ ნახევარში დაწერილი ეს მოსაზრებები, იდეალურად ესადაგება თანამედროვე ჰიბრიდული ომების ეპოქის მახასიათებლებს, იქ სადაც საინფორმაციო ოპერაციებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ასევე საინტერესოა, „შეუზღუდავი ომის“ თანამედროვე ჩინური თეორიის განხილვა, რომელიც თავისი არსით ფაქტობრივად იმეორებს ჰიბრიდული ომის პრინციპებს. თეორია განხილულია წიგნში „შეუზღუდავი ომი“, რომელიც 1999 წელს გამოქვეყნდა ჩინეთის სახალხო არმიის ორი პოლკოვნიკის **ქუაო ლიანგის** და **ვანგ ხიანგშუს** ავტორობით. წიგნი გვთავაზობს მეთოდებს, რომლის მეშვეობითაც ჩინეთის სახელმწიფოს საშუალება ექნება დაამარცხოს მასზე ტექნოლოგიურად აღმატებული სახელმწიფო, ისეთი როგორც მაგალითად აშშ-ია. ჰიბრიდული ომის მსგავსად, შეუზღუდავი ომის კონცეფცია გულისხმობს ყველა იმ საშუალების ერთდროულ გამოყენებას რაზეც ჰიბრიდული ომების ზემოთ მოყვანილ განხილვებშია საუბარი. შეუზღუდავი ომის პირველი წესია **„არ არსებობს არანაირი წესი, არაფერია აკრძალული“**.⁸ ავტორების თქმით, გლობალიზაციამ და თანამედროვე ტექნოლოგიებმა შეცვალა ომის წარმოების გზები და დღეს იგი ნებისმიერი სივრცისა და საშუალების გამოყენებას გულისხმობს. თუმცა თავისი არსით ეს მოქმედებები, **კვლავინდებურად კლასიფიცირებულია - მიმართულია მოწინააღმდეგის ნების გასატეხად.**

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ე.წ. რუსული ჰიბრიდული ომი. რუსულ სამხედრო აზროვნებაში მსგავსი კონცეფციები საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდთან მოყოლებული სხვადასხვა ავტორების მიერ იყო წარმოდგენილი.

2014 წელს ყირიმის ანექსიისა და უკრაინის ცნობილი მოვლენების შემდგომ, ბევრი უცხოელი მკვლევარი შეეცადა ამ მოვლენების დროს რუსეთის მიერ გამოყენებული „ახალი“ სტრატეგიისა თუ ტაქტიკის ფესვების ძიებას, რამაც ისინი მიიყვანა რუსეთის გენერალური შტაბის მეთაურის ვალერი გერასიმოვის მიერ 2013 წლის თებერვალში „სამხედრო-სამრეწველო კურიერის“ 8-ე ნომერში გამოქვეყნებულ სტატიამდე - „მეცნიერების მნიშვნელობა მომავლის განმჭვრეტისათვის.“⁹ მიუხედავად იმისა, რომ სტატიაში ტერმინი „ჰიბრიდული ომი არ გვხდება“, ამ სტატიაში გადმოცემული ხედვების გამო, გერასიმოვი მოგვიანებით აღქმული იქნა როგორც რუსული ჰიბრიდული ომის იდეოლოგი.

სტატიაში ავტორი ხაზს უსვამს არა სამხედრო საშუალებების მნიშვნელობას, საინფორმაციო და ფსიქოლოგიური ოპერაციების როლს თანამედროვე კონფლიქტებში. ყურადღებას ამახვილებს ტრადიციული სამხედრო საშუალებების მნიშვნელობის კლებაზე ომის პოლიტიკური ამოცანების მიღწევაში. ხაზს უსვამს სტრატეგიული ამოცანების რეალიზაციისთვის იმ არასამხედრო მეთოდების როლს,

რომლებიც სახელწიფოს საფუძვლების შერყევსკენ არის მიმართული, რათა მოწინააღმდეგის დასამარცხებლად სამხედრო საშუალებების გამოყენება არ გახდეს საჭირო. გერასიმოვის აზრით, ამდაგვარ ომებში ფრონტის ხაზი ძალიან პირობითია და ერთდროულად ყველა სივრცეში შეიძლება გადიოდეს.

გერასიმოვის ხედვა ეფუძნება იდეას, რომლის თანახმადაც თანამედროვე ომში ბრძოლის მთავარ სამიზნეს გონება წარმოადგენს და შესაბამისად, თანამედროვე სამხედრო ოპერაციებში დომინანტური ადგილი საინფორმაციო და ფსიქოლოგიურ ომს ეთმობა.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ გერასიმოვთანაც კლაუზევიცური ომის არსი რა თქმა უნდა არ იცვლება, მიზანი კვლევაც მოწინააღმდეგის ნების გატეხვა არის, **ოღონდ სხვა არატრადიციული ხერხებით.**

გერასიმოვის ეს ცნობილი სტატია, მის რუსეთის სამხედრო აკადემიის ოფიცრებთან და მსმენელებთან 2013 წლის იანვარში გამოსულ სიტყვას ეფუძნებოდა. ამ სიტყვის მიზანი რუსეთის უმაღლესი რანგის ოფიცრებისათვის თანამედროვე სამხედრო აზროვნების ტენდენციების შესწავლის და მათი სამხედრო ოპერატიულ ხელოვნებაში ასახვის მნიშვნელობის ხაზგასმა იყო.

მსჯელობა იმზე, რომ „რუსული ჰიბრიდული ომის დოქტრინის“ და მისი ოპერატიული გამოყენების საშუალებების რეალიზაცია მხოლოდ ამ სტატიის გამოქვეყნებიდან იწყება, რა თქმა უნდა არა სწორი იქნებოდა. „ჰიბრიდული ომის“ დამახასიათებელი მეთოდების წარმატებით გამოყენებისკენ რუსეთის ფედერაცია ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიოდა, დაწყებული იმ ცვლილებებით რომელთა ძირითადი ტალღა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის მერე მალევე დაიწყო, მათ შორის რუსეთის სპეციალური ძალების სარდლობის შექმნით, რომელიც მას მერე რუსეთის მიერ წარმოებული ოპერაციებისა და სამხედრო კამპანიების განუყოფელ ნაწილად იქცა.

აქვე აღსანიშნავია, რომ არსებობს ჰიბრიდული ომის სხვადასხვა კონკრეტული დეფინიციებიც. 2010 წლის ამერიკული თავდაცვის ოთხწლიანი ანგარიში ასე ახასიათებს ჰიბრიდულ ომს: „დღევანდელი ჰიბრიდული მიდგომები შეიძლება მოიცავდეს მოწინააღმდეგე სახელწიფოებს რომლებიც მიმართავენ გაჭიანურებული ომის წარმოების ფორმებს და იძულებისთვის იყენებდნენ ე.წ. „პროქსი-გამტარ“ ძალებს, ან არა სახელმწიფო აქტანტები რომლებიც იყენებენ იმდაგვარ ოპერატიულ

კონცეფციებსა და საშუალებებს, რომლებიც ტრადიციულად სახელმწიფო აქტანტებისთვის იყო დამახასიათებელი“.¹⁰

ცნობილი გამოცემის „სამხედრო ბალანსი“-ის 2015 წლის ნომერში ასევე მოცემულია ჰიბრიდული ომის განმარტება, რომლის მიხედვითაც იგი გულისხმობს: „ერთი კამპანიის ფარგლებში სამხედრო და არა სამხედრო შესაძლებლობების ინტეგრირებული გამოყენებას, მიმართულს მოულოდნელობის ეფექტის შექმნისა და ინიციატივის მიღებისკენ, ისევე როგორც ფსიქოლოგიური და ფიზიკური უპირატესობების მისაღწევად დიპლომატიური ხერხების გამოყენებას; რთული კიბერ, საინფორმაციო და ფსიქოლოგიური ოპერაციების გამოყენებას; შენიღბულ ან ღია სამხედრო და სადაზვერვო სპეცოპერაციებს, ეკონომიკურ ზეწოლას“.¹¹

როგორც ვხედავთ აღნიშნულ დეფინიციებში ჰიბრიდული ომის სხვადასხვა ასპექტებია ხაზგასმული.

დასკვნა

„ჰიბრიდული ომის“ ჩვენს მიერ ზემოთ განხილული ყველა მკვლევარისა თუ დეფინიციების ანალიზის შედეგად, თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ **იგი არ ცვლის ომის ბუნებას, მის არსს!** ტერმინები- ჰიბრიდული, ასიმეტრიული, არა კონვენციური, მეოთხე და მეხუთე თაობის, „ამბოხი ომი“, თუ შეუზღუდავი ომები ასახავს იმ სირთულეებს, რომლის წინაშეც თანამედროვე სტრატეგები თუ სამხედრო თეორეტიკოსები იმყოფებიან 21-ე საუკუნის კომპლექსური კონფლიქტების კატეგორიზაციის და აღწერის დროს. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი ჰიბრიდული ყველაზე პოპულარულია, იგი არამც და არამც არ არის ერთადერთი რელევანტური ტერმინი რომელიც შეიძლება თანამედროვე კონფლიქტებზე საუბრისას დღეს გამოყენებულ იქნას მკვლევარების მიერ. საბოლოო ჯამში ყველა ეს ტერმინი და ცვლილება აღწერს სწორედ იმ სიახლეებს რომლებიც კლაუზევიცის მიერ აღწერილ ომის ბუნების სუბიექტურ მახასიათებლებში კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ხდება ხოლმე. იქ სადაც სხვადასხვა დროს ხმალი და დამბაჩა, შაშხანამ და ტყვიამფრქვევა, ტანკმა და გამანადგურებელმა ჩაანაცვლა. იქ სადაც დღეს მობილური ტელეფონი, პლანშეტი და დრონი, ფეისბუქი და ტვიტერი როგორც იარაღის ახალი სახეობები წარმოგვიდგება. ყველა ეს ცვლილება ომის ობიექტურის მხარეების - ძალადობა, დაპირისპირება, შემთხვევითობა და გაურკვევლობის რეალიზაციისთვის

ადამიანის გონების მიერ გამოყენებული მორიგი ახალი საომარი ინსტრუმენტებია და კვლავინდებურად ემსახურება მოწინააღმდეგის წინააღმდეგობის ნების გატეხვას.

მიუხედავად იმისა, თუ ზემოთ აღნიშნული სიახლეები და საფრთხეები რა სახელით იქნება აღწერილი, აუცილებელია სტრატეგიების, თეორეტიკოსებისა და სამხედროების მიერ იმის გააზრება, როგორ დაუპირისპირდნენ მოწინააღმდეგეს რომელიც ამდაგვარი მეთოდებით ცდილობს საკუთარი ინტერესების რეალიზაციას.

საქართველოსთვის, რომელიც რუსეთის მხრიდან „ჰიბრიდული ომის“ მეთოდების მოქმედებების პირდაპირი სამიზნეა, აუცილებლად დღის წესრიგში დგას არა მხოლოდ შეიარაღებულ ძალებში შესაბამისი სიახლეების დანერგვა, არამედ პრობლემის კომპლექსურიდან გამომდინარე, მთლიანად ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურის მოწყობის პრინციპების გადააზრება, რომელიც დღეს თავისი შინაარსით, XX საუკუნის გადმონაშთს წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დავით თევზაძე. „ევროპული ომის ფილოსოფია: კარლ ფონ კლაუზევიცი“; ჟურნალი „სტრატეგიული კვლევები“ #3; გამომცემლობა „აკადემიური წიგნი“, თბილისი, 2010 წ.
2. William S. Lind, Colonel Keith Nightengale (USA), Captain John F. Schmitt (USMC), Colonel Joseph W. Sutton (USA), Lieutenant Colonel Gary I. Wilson (USMCR); The Changing Face of War: Into the Fourth Generation; Marine Corps Gazette 1989;
<https://www.mca-marines.org/files/The%20Changing%20Face%20of%20War%20-%20Into%20the%20Fourth%20Generation.pdf>
3. Frank G. Hoffman, “Hybrid Warfare and Challenges,” Joint Force Quarterly no. 52 (1st Quarter 2009): 34-39. <http://smallwarsjournal.com/documents/jfqhoffman.pdf>
4. იქვე;

5. John J. McCuen, "Hybrid Wars," Military Review (March-April 2008), <http://www.au.af.mil/au/awc/awcgate/milreview/mccuen08marapr.pdf>
6. Peter R. Mansoor, "Hybrid War in History," in Hybrid Warfare: Fighting Complex Opponents from the Ancient World to the Present, ed. Williamson Murray and Peter R. Mansoor (Cambridge: Cambridge University Press, 2012), 2.
7. Thomas M. Huber, Michael D. Pearlman, Jerry D. Morelock, Jerold E. Brown, John T. Broom, Gary J. Bjorge, Randall N. Briggs, and Robert F. Baumann, Compound Warfare—That Fatal Knot (Ft. Leavenworth, KS: U.S. Army Command and General Staff College Press, 2002),
8. Qiao Liang and Wang Xiangsui, Unrestricted Warfare (Beijing: PLA Literature and Arts Publishing House, 1999), 2, <https://www.oodaloo.com/documents/unrestricted.pdf>
9. Валерий Герасимов, „Ценность науки в предвидении” <http://www.vpk-news.ru/articles/14632>
10. Department of Defense, Quadrennial Defense Review Report (Washington, DC: De-partment of Defense; http://www.defense.gov/Portals/1/features/defenseReviews/QDR/QDR_as_of_29JAN10_1600.pdf
11. "Complex Crises Call for Adaptable and Durable Capabilities," The Military Balance 115:1 (2015)